808.03
ა-58

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ალექსანდრე ვასილის ძე ამირანაშვილი

# ნოდარ დუმბაძის შემოქმედება რუსულ ლიტერატურულ კრიტიკაში

10.01.12 – თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობათა
თეორია და ისტორია

ავტორეფერატი
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

თ ბ ი ლ ი ს ი
1999

808.03 – 1738 –
ა-587 ამირანაშვილი ა.ვ.
ნოდარ დუმბაძის შემოქმედება
რუსულ ლიტ-ულ კრიტიკაში.

– 1738 –

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ალექსანდრე ვასილის ძე ამირანაშვილი

# ნოდარ დუმბაძის შემოქმედება რუსულ ლიტერატურულ კრიტიკაში

10.01.12 – თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა
თეორია და ისტორია

ავტორეფერატი
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

თ ბ ი ლ ი ს ი
1999

ნაშრომი შესრულებულია თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნულ ლიტერატურათა, ლიტერატურული ურთიერთობათა და თარგმანის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი – ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ნ.ლ. ფირაქიშვილი

ექსპერტი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნ.ნ. გაფრინდაშვილი

ოფიციალური ოპონენტები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დ. ჯინჭარაძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი მ. ბარამიძე

წამყვანი ორგანიზაცია: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეროვნულ ურთიერთობათა კვლევის ცენტრი

დისერტაციის დაცვა შედგება 1999 წლის "24" სექტემბერს 12 საათზე, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს Ф 10.01 С N 5 სხდომაზე.

მისამართი: (380028 თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი),

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში

ავტორეფერატი დაიგზავნა 1999 წ. "24".08.

Библиотека Тбилисского гос. педагогического института

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი / თ. კიკაჩეიშვილი/

-1738-

## ნაშრომის მოკლე დახასიათება

თემის აქტუალობა.

მსოფლიო ლიტერატურის ამოუწურავი საგანძური განუწყვეტლივ ამდიდრებს ცოდნას ადამიანთა ურთიერთობების სიღრმითა და მრავალფეროვნებით, ხასიათითა და ტიპებით, რაც განისაზღვრება ეპოქების, ტრადიციების, შექმნილი ვითარებებისა და ცხოვრების ყაიდის თავისებურებებით.

მხატვრული ლიტერატურა უდიდეს როლს ასრულებს საზოგადოების ცხოვრებაში, გავლენას ახდენს აზროვნებაზე, საზოგადოებრივ ურთიერთობებზე, ზნეობრივი კრიტერიუმებისა და ეტალონების ჩამოყალიბებაზე.

აღწევს რა ადამიანების ფსიქოლოგიის, ისტორიული კატაკლიზმებისა და ცვალებადობის სიღრმეებში კლასიკური ლიტერატურა ყოველთვის ემსახურებოდა საზოგადოების ყოფაში მაღალი სულიერების ზეობის დამკვიდრებას. ხელოვნების მაგიურობა ამდიდრებს ჩვენ წარმოდგენებს, აღვივებს ფანტაზიას, გვაახლოებს ამა თუ იმ ეპოქასთან, მოვლენასთან, სიტუაციასთან, მკითხველისა და მაყურებლის აუდიტორიას ამ მოვლენებისა და სიტუაციების თანამონაწილედ ხდის და თითქოს შლის ზღვარს რეალურსა და წარმოსახვითს შორის.

თავისი დროის გმირი კლასიკური ლიტერატურის ძირითადი პრობლემაა. პიროვნების წარმოჩენა რეალურად არსებულ სამყაროში, კონკრეტულ ყოფით პირობებში, ზნეობრივი საწყისების შეპირისპირება ადამიანის ბუნების საიდუმლოებებთან, ადამიანის სრულყოფა ან გადაგვარება, მასზე გარკვეულ გარემოებათა გავლენა – ეს მოვლენები ლიტერატურაში მუდამ პოულობს ასახვას, და ჩვენ მუდამ თვალს ვადევნებთ ევოლუციასა და ცვლილებებს ადამიანის სულიერ ცხოვრებასა და ქცევაში.

ძნელია გადაჭარბებით შეაფასო მხატვრული ლიტერატურის როლი სა-

Библиотека